# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## „საქართველოს კონსტიტუციაში დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (07-1/136, 28.10.2009) „საქართველოს კონსტიტუციაში დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 23 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**ზურაბ მელიქიშვილი** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**ლევან ვეფხვაძე** – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

**პავლე კუბლაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

**გიორგი მელაძე** – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე

**გია თორთლაძე** – ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე

**გიორგი ახვლედიანი** – ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

**ბეჟან ბუცხრიკიძე** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

**ვახტანგ ბალავაძე** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ჩიორა თაქთაქიშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ნიკოლოზ ლალიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**რატი მაისურაძე** – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ჯონდო ბაღათურია** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**რამაზ თედორაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გია ხუროშვილი** – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

**ირაკლი ბურდული** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

**გიორგი კვერენჩხილაძე** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ვასილ გონაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**ქეთევან ქოქრაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**მარინა გარიშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**გიორგი კახიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

**კახი ყურაშვილი** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**ნანა ჭიღლაძე** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

**სოსო ცინცაძე** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე დ. ბაქრაძე
თბილისი,
2009 წლის 6 ნოემბერი.
№2009–IIს